საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის
პროპაგანდის კომისია
თბილისის
ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს" სტადიონი

შემდგენელი ო. გველესიანი

მხატვარი ვ. ქობალია ტექრედაქტორი ვ. დოხნაძე

**№ 2 (100)**

ფასი 27 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ., 14

შეკვ. 764 ტ. 20.000 უე 07851

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი
მეოთხედფინალური მატჩი

# „დინამო"

## (თბილისი, სსრ კავშირი)

თბილისის
ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს" სტადიონი

**18. III. 1981**

დასაწყისი 19 საათზე

# „ვესტ ჰემი"

## (ლონდონი, ინგლისი)

«ДИНАМО»
(ТБИЛИСИ, СССР)

«ВЕСТ ХЭМ»
(ЛОНДОН, АНГЛИЯ)

DINAMO
(TBILISI, USSR)

WEST HAM
(LONDON, ENGLAND)

ჩვენი

სალამი

„ვესტ ჰემის“

ფეხბურთელებს

და მათ

გულშემატკივრებს!

ДОБРО

ПОЖАЛОВАТЬ

ФУТБОЛИСТЫ

И БОЛЕЛЬЩИКИ

«ВЕСТ ХЭМА»

В ТБИЛИСИ!

# WELCOME WEST HAM AND SUPPORTERS




Welcome is a word expressive of affability and friendly disposition. We Georgians possess many a similar greeting. But the one we treasure most is «gamarjveba» which translates into English as «be victorious». And it is with this fair welcome that we hail the English side.

The charm of spring is back once again with the buds about to burst into bloom. The drowsy winter has ended and tha ball is back into play. It is here to stay for very, long taking us on many of its unpredictable routes, sending us gasping, chanting, shuffling our feet, and clapping our hands. We've already seen some of it havent we. Remember the fourth of March? Glued to the TV screens we shared with the London fans all the frenzied excitement of the super soccer at Upton Park. Far as we were we couldn't but join in the ranks of appreciative West Ham supporters as they cheered the winning squad out. We in our turn were no less impressed with the Hammers' high standards, good sportsmanship and chivalry on the pitch.

Yet half of the battle is still to be fought. The half that holds a promise of both the teams going at it hammer and tongs.

Allegedly after the London tie an English reporter made one flattering remark. Said he referring to the highly acclaimed London tour of the Tbilisi Rustaveli Company: «A while ago the Georgians showed us the way Shakespeare plays ought to be treated. Now they have taught us another lesson, at football this time».

We love Shakespeare and have always held English soccer in high esteem. The mention of poetry and ball games brings to mind a centuries old line by another great poet Rustaveli: «We appraise the skills of players, by the way they handle the ball». The classic poet had also these words to say: «Heart should be given for heart and love be the bridge of true friendship». And that is the spirit this afternoon. Some 80,000 spectators filling the bowl of the Dinamo stadium are looking forward to a lot of fine football.

May the Strongest Win!





# НАШИ ГОСТИ

# «ВЕСТ ХЭМ»

### ჩვენი სტუმრები

დღევანდელი ჩვენი სტუმარი — „ვესტ ჰემ იუნაიტედი" დიდი ტრადიციების მქონე გუნდია. მან 1979-80 წლების სეზონში დიდი აღმავლობით ითამაშა ინგლისის თასის გათამაშებაში და ფინალში, დაძაბულ ორთაბრძოლაში დაამარცხა სახელგანთქმული „არსენალი".

ამჟამად „ვესტ ჰემი" ინგლისის II ჯგუფში გამოდის, მაგრამ წარმატების წარმატებაზე აღწევს და ეჭვიც არავის ეპარება, რომ მომავალ წელს მას კვლავ უმაღლეს ლიგაში ვიხილავთ — ამჟამად „ვესტ ჰემი" მეორე ადგილზე მყოფ „ნოთს ქაუნთს" 8 ქულით უსწრებს.

„ვესტ ჰემის" ფეხბურთელთა კოჰორტიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მსოფლიო ჩემპიონები — ბობი მური, პიტერ ჰერსტი და ბობი ჩარლტონი, რომელთაც თავის მშობლიურ გუნდსაც და ინგლისის ნაკრებსაც არაერთი სასახელო გამარჯვება მოუტანეს. ჩვენი პროგრამის მეორე გვერდზე სწორედ ბობი მურია აღბეჭდილი მსოფლიო ჩემპიონის — „ნიკეს თასით" ხელში, რომელიც ინგლისის ნაკრებმა „უემბლის" სტადიონზე მოიგო. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში.

„ვესტ ჰემს" ევროპის ტურნირებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვს. რაც შეეხება ახლანდელ გათამაშებას, მათ მოუგეს მადრიდის „კასტილიას" საერთო ანგარიშით (5:1 — 1:3) და რუმინეთის „პოლიტეხნიკს" (4:0 — 0:1).

გუნდის საუკეთესო ბომბარდირია დევიდ კროსი.

**Основанный в 1904 году лондонский футбольный клуб «Вест Хэм»** до 60-х годов был просто одним из многих. Но именно на 60-е и 70-е годы приходится пора расцвета клуба. Тогда в рядах «молотобойцев» (на эмблеме клуба два молота на фоне старинного замка) выступали чемпионы мира **Бобби Мур, Питерс, Херст**, и именно тогда «Вест Хэм» обрел свой самобытный игровой стиль, исповедуя гибкий, зрелищный футбол. Мягкость в работе с мячом и изобретательность в игровых решениях стали цениться в команде намного выше, чем силовая бойцовская манера традиционного британского стиля.

В призовом списке лондонской команды три домашних успеха. Все три достигнуты в Кубке Англии. Первый раз «Вест Хэм» выиграл Кубок страны в 1964 году. Тогда, выйдя на европейскую арену, он с первого же захода завладел Кубком кубков. Вторично «Вест Хэм» выиграл Кубок страны в 1975 году, после чего в Кубке кубков он дошел до финала, где уступил бельгийскому «Андерлехту». В третий раз «Вест Хэм» добыл Кубок Англии в прошлом году. Выступая во второй лиге, он обыграл в финале находившийся тогда в отличной форме лондонский «Арсенал».

В нынешнем розыгрыше Кубка кубков первым соперником англичан стал финалист Кубка Испании «Кастилия». В Мадриде англичане матч начали удачно, и уже на 17-й минуте Кросс забил мяч в ворота хозяев. Позже, однако, «Вест Хэм» отдал инициативу и позволил испанцам провести три гола. В повторном матче, на стадионе «Элтон Парк», «Вест Хэм» разгромил «Кастилию» — 5:1. Хет-трик сделал Кросс, по голу забили Пайк и Гуддард.

В следующем круге «Вест Хэм» встречался с румынским клубом «Политехника» и практически в первом же матче проложил себе дорогу в четвертьфинал, выигрыв — 4:0. Кросс забил один мяч, два провели защитники Стюарт и Бондс, еще один на счету Гуддарда. Ответную встречу «молотобойцы» в Румынии проиграли — 0:1, но там они не делали секрета из того, что приехали лишь защищать достигнутый ранее результат.

Нынешний состав своей команды **Д. Лайолл** считает обкатанным и способным на решение больших задач, хотя добавляет, что одну-две позиции в принципе и он желал бы укрепить. Из прежнего состава сохранили места **Лампард, Холланд, Бондс и Брукинг.** Капитан «Вест Хэма» **Бондс** теперь играет в центре обороны вместе со Стюартом, Лампардом, Марином. Ворота защищает приглашенный из «Куинз Парк Рейнджерса» **Паркс.**

Сильнейшей линией команды является средняя. Фактически клуб играет с четырьмя хавбеками, среди которых выделяется **Брукинг,** единственный представитель второй лиги в сборной Англии. Ему, кстати, 31 год. **Брукинг и Девоншайр** обеспечивают конструктивный потенциал средней линии. **Гуддард же, Холланд, Аллен и Нейбург** поддерживают движение, активность. На переднем рубеже действуют два форварда — **Кросс и Пайк.** Порой выдвинутым далеко вперед бывает лишь один **Кросс,** но когда лондонцы выступают на своем поле, атакуют и забивают в их команде все.





# DINAMO'S RECORD IN EUROPE

Season 1972–'73 – U.E.F.A. Cup

Sept. 13, 1972 – Dinamo Tbilisi 3, Twente Enschede 2.
Sept. 27, 1972 – Twente Enschede 2, Dinamo Tbilisi 0

Season 1973–'74 – U.E.F.A. Cup

Sept. 19, 1973 – Dinamo Tbilisi 4, Slavia Sofia 1
Oct. 3, 1973 – Slavia Sofia 2, Dinamo Tbilisi 0
Oct. 24, 1973 – Dinamo Tbilisi 3, O.F.K. Belgrade 0
Nov. 7, 1973 – O.F.K. Belgrade 1, Dinamo Tbilisi 5
Nov. 28, 1973 – Dinamo Tbilisi 1, Tottenham Hotspur 1
Dec. 12, 1973 – Tottenham Hotspur 5, Dinamo Tbilisi 1

Season 1976–'77 – Cup winners, Cup

Sept. 15, 1976 – Cardiff City 1, Dinamo Tbilisi 0
Sept. 29, 1976 – Dinamo Tbilisi 3, Cardiff City 0
Oct. 20, 1976 – Dinamo Tbilisi 1, M.T.K. Budapest 4
Nov. 3, 1976 – M.T.K. Budapest 1, Dinamo Tbilisi 0

Season 1977–'78 – U.E.F.A. Cup

Sept. 14, 1977 – Inter-Milan 0, Dinamo Tbilisi 1
Sept. 28, 1977 – Dinamo Tbilisi 0, Inter-Milan 0
Oct. 19, 1977 – K. B. Copenhagen 1, Dinamo Tbilisi 4
Nov. 2, 1977 – Dinamo Tbilisi 2, K. B. Copenhagen 1
Nov. 23, 1977 – Dinamo Tbilisi 1, Zurich Grasshoppers 0
Dec. 7, 1977 – Zurich Grasshoppers 4, Dinamo Tbilisi 0

Season 1978–'79 – U.E.F.A. Cup

Sept. 13, 1978 – Dinamo Tbilisi 2, S.S.C. Napoli 0
Sept. 27, 1978 – Napoli 1, Dinamo Tiblisi 1
Oct. 18, 1978 – Hertha Berlin 2, Dinamo Tbilisi 0
Nov. 1, 1978 – Dinamo Tbilisi 1, Hertha Berlin 0

Season 1979–'80 – Champions' Cup

Sept. 19, 1979 – Liverpool 2, Dinamo Tbilisi 1
Oct. 3, 1979 – Dinamo Tbilisi 3, Liverpool 0
Oct. 24, 1979 – Hamburg 3, Dinamo Tbilisi 1
Nov. 7, 1979 – Dinamo Tbilisi 2, Hamburg 3

Season 1980–'81 Cup winners' Cup

Sept. 3, 1980 – Castoria 0, Dinamo Tbilisi 0
Sept. 17, 1980 – Dinamo Tbilisi 2, Castoria 0
Oct. 22, 1980 – Waterford 0, Dinamo Tbilisi 1
Nov. 5, 1980 – Dinamo Tbilisi 4, Waterford 0
March 4, 1981 – West Ham 1, Dinamo Tbilisi 4
March 18, – Dinamo Tbilisi?, West Ham?

# „ვესტ ჰემი" ევროპის თასებზე

თასების მფლობელთა თასი — 1964/65 წ.წ. გათამაშება.

1/16 ფინალი: „ვესტ ჰემი" — „ლია — განტუაზი" (ბელგია) 1:0, 1:1
1/8 ფინალი: „ვესტ ჰემი" — „სპარტაკ — სოკოლოვო" (ჩეხოსლოვაკია) 2:0 1:2
1/4 ფინალი: „ვესტ ჰემი" — „სპორტი" (შვეიცარია) 4:3 2:1
1/2 ფინალი: „ვესტ ჰემი" — „სარაგოსა" (ესპანეთი) 2:1 1:1
ფინალი: „ვესტ ჰემი" — „მიუნხენ 1860" (გფრ) 2:0

თასების მფლობელთა თასი — 1965/66 წ.წ.

1/8 ფინალი: „ვესტ ჰემი" — „ოლიმპიაკოსი" პირეი (საბერძნეთი) 4:0 2:2
1/4 ფინალი: „ვესტ ჰემი" — „მაგდებურგი" (გდრ) 1:0 1:1
1/2 ფინალი: „ბორუსია" დორტმუნდი (გფრ) — „ვესტ ჰემი" 3:1 2:1

თასების მფლობელთა თასი — 1975/76 წ.წ.

1/16 ფინალი: „ვესტ ჰემი" — „რეიპასი" ლაჰტი (ფინეთი) 3:0 2:2
1/8 ფინალი: „ვესტ ჰემი" — „არარატი" ერევანი 3:1 1:1
1/4 ფინალი: „ვესტ ჰემი" — „ჰააგა" (ჰოლანდია) 3:1 2:4
1/2 ფინალი: „ვესტ ჰემი" — „აინტრაჰტი" ფრანკფურტი (გფრ) 3:1 1:2
ფინალი „ანდერლეხტი" ბრიუსელი (ბელგია) — „ვესტ ჰემი" 4:2

თასების მფლობელთა თასი — 1980/81 წ.წ.

1/16 ფინალი: „ვესტ ჰემი" — „კასტილია" (ესპანეთი 5:1 1:3
1/8 ფინალი: „ვესტ ჰემი" — „პოლიტექნიკა" ტიმიშოარა (რუმინეთი) 4:0 0:1
1/4 ფინალი: „ვესტ ჰემი — „დინამო" თბილისი 1:4

სულ „ვესტ ჰემმა" ჩაატარა 29 შეხვედრა: აქედან მოიგო — 14, ფრედ დაამთავრა 6 და წააგო 9 მატჩი. ბურთების შეფარდება 57:42 ინგლისელთა სასარგებლოდ.

# დღეს...

ევროპის ქვეყნების სხვადასხვა ქალაქში გაიმართება კონტინენტის თასების გათამაშების მეოთხედფინალური განმეორებითი მატჩები.

გთავაზობთ სამივე ტურნირში მონაწილე წყვილებს. თამაში გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მოედანზე, აქვე ნაჩვენებია პირველი შეხვედრების ანგარიშები:

## ჩემპიონთა თასი



„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი სსრკ) **0:0.**
„ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია) — „ბავარია (გფრ) **0:2**
ცსკა სეპტემვრისკოე ზნამე (ბულგარეთი) — ლივერპული (ინგლისი) **1:5.**
„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „ინტერი“ (იტალია) **1:1.**

## თასების თასი



„დინამო“ (თბილისი) — „ვესტ ჰემი“ (ინგლისი) **4:1.**
„ფეიენორდი“ (ჰოლანდია) — „სლავია“ (ბულგარეთი) **2:3.**
„ნიუპორი“ (უელსი) — „კარლ ცეისი“ (გდრ) **2:2.**
„ბენფიკა — (პორტუგალია) — „ფორტუნა“ (გფრ) **2:2.**

## უეფა-ს თასი



„სოშო“ (საფრანგეთი) — „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) **0:0.**
„ლოკერენი“ (ბელგია) — აზ-67 (ჰოლანდია) **0:2.**
„იპსვიჩი“ (ინგლისი) — „სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი) **4:1.**
„კიოლნი“ (გფრ) — „სტანდარტი“ (ბელგია) **0:0.**

| „დინამო“ თბილისი | | „ვესტ ჰემი“ ლონდონი |
|---|---|---|
| ოთარ გაბელია | 1 | ფილი პარკსი |
| თამაზ კოსტავა | 2 | რეი სტიუარტი |
| ალექსანდრე ჩივაძე | 3 | ფრენკ ლამპარდი |
| შოთა ხინჩაგაშვილი | 4 | ბილი ბონდსი |
| ნოდარ ხიზანიშვილი | 5 | ელვინ მარტინი |
| დავით მუჯირი | 6 | ალან დევონშაირი |
| გიორგი ქილაია | 7 | ჯიმი ნეიბურგი |
| თენგიზ სულაქველიძე | 8 | პოლ გუდარდი |
| დავით ყიფიანი | 9 | დევიდ კროსი |
| ვლადიმერ გუცაევი | 10 | ტრევორ ბრუკინი |
| რამაზ შენგელია | 11 | ჯეოფ პაიკი |
| ზაურ სვანაძე | 12 | პოლ ალენი |
| ვიტალი დარასელია | 13 | ბობი ბარნსი |
| ვაჟა ჟვანია | 14 | პოლ ბრუში |
| გია თავაძე | 15 | ნიკი მორგანი |
| გია იმნაძე | 16 | ბობი ფერგიუსონი |

მსაჯთა ბრიგადა: ეშვაილერი, ვალტერი, ტანჯერი (ყველა — გფრ)
უეფა-ს წარმომადგენელი — ადამი (იტალია)




# WEST HAM

BACK ROW: (L to R) Trevor BROOKING, Nicky MORGAN, Billy LANSDOWNE, Phil BRIGNULL, Phil PARKES, Bobby FERGUSON, Paul BRUSH, Alvin MARTIN, Billy BONDS, David CROSS.

FRONT ROW: (L to R) Geoff PIKE, Frank LAMPARD, Jimmy NEIGHBOUR, Pat HOLLAND, Paul ALLEN, Alan DEVONSHIRE, Ray STEWART.

# ლონდონი, 4. III. 1981 წელი









პირველ მატჩს კომენტარს უკეთებენ მწვრთნელები:

## ჯონ ლაიოლი

„თუ შეჯიბრებას გამოვეთიშებით, იმის მოხარული მაინც ვიქნები, რომ დავმარცხდით ისეთი მაღალი კლასის გუნდთან, როგორიც თბილისის „დინამოა". ეს დიდებული გუნდია, შეწონასწორებული, დიდი გამოცდილების მქონე.

დინამოელებს აქვთ ყველაფერი ის, რაც აღაფრთოვანებს მაყურებელს. დიდი ხანია არ მინახავს ასეთი ლოგიკური დასასრული. სწორედ მაშინ, როცა შეშფოთებამ თითქოს გაგვიარა, როცა თითქოს ავენყვეთ და გვეგონა მატჩში გარდატეხა შევიტანეთ, დინამოელებმა მესამე ბურთი შეგვიგდეს."

## ნოდარ ახალკაცი



„კმაყოფილი ვარ გუნდის თამაშით, ჩვენ შევძელით საკუთარი თამაშის სტილი მოგვეხვია თავს მეტოქისათვის. ყოველმა ფეხბურთელმა მთელი ძალ-ღონე შეალია ბრძოლას და ბიჭებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. მაგრამ ისიც მინდა ვთქვა, რომ მეოთხედფინალები ორი მატჩისაგან შედგება და თბილისში არ უნდა მოველოდეთ იოლ თამაშს. მე დიდად ვაფასებ ინგლისელი, და კერძოდ, „ვესტ ჰემის" ფეხბურთელების უნარს იბრძოლონ ბოლო წუთებამდე, ბოლო შესაძლებლობამდე. ისე, რომ საბოლოოდ ყველაფერი გადაწყდება 18 მარტს, როცა თბილისში გაიმართება საპასუხო მატჩი".

# „ეპტონ პარკის“ ექო




## „ტაიმსი“, 5 მარტი

... „ვესტ ჰემი“ თითქოს გააოცაო უბრწყინვალეს კინოვარსკვლავებთან შეხვედრამ, მაგრამ მათ შორის მართლაც იყო ერთი ტანადი, ულვაშებიანი და თმაშეთხელებული ვაჟკაცი, რომელიც ჭეშმარიტად იმსახურებდა ასეთ რეპუტაციას. ეს გახლდათ ყიფიანი, რომელიც თავისი მოხდენილი გრძელი ფეხებით „ეპტონ პარკში“ ისე დააბიჯებდა, როგორც სოფლის სკოლის დირექტორი თავის სამფლობელოში, თავის თეთრ-ლურჯ ფორმაში გამოწყობილ პარტნიორებთან ერთად...“

## „ტაიმსი“, 6 მარტი

... „ვესტ ჰემს“ ახლა აქვს თბილისელებთან განვლილი მატჩის ვიდეოჩანაწერი. გუნდის მენაჯერმა ჯ. ლაიოლმა ამ ფილმს ასე უწოდა: „აი, როგორ უნდა ფეხბურთის თამაში“. „ვესტ ჰემისთვის“, ალბათ, ამ ფილმის ყურება ძნელი და მტკივნეული იქნება, განსაკუთრებით თავისი დაცვის ხაზში. უთუოდ ღირს ყიფიანის, აგრეთვე სსრ კავშირის 1980 წლის საუკეთესო ფეხბურთელის ჩივაძის თამაშის კიდევ ერთხელ ნახვა...“

## „დეილი ექსპრესი“, 5 მარტი

... სპორტული „ეპტონ პარკი“ ფეხზე წამოშლილი ემოციურად მიესალმა თბილისელ ოსტატებს, რომლებმაც „ვესტ ჰემს“ ფეხბურთის გაკვეთილი ჩაუტარეს.

„დინამო“ ცეკვავდა ვალსს, ქსოვდა სასწაულებრივ მოძრაობებს. დინამოელებმა დაამსხვრიეს „ვესტ ჰემის“ ოცნება. პირველ ტაიმში გატანილი ორი გოლით მათ დაამტკიცეს თავიანთი უპირატესობა. მაშინაც, როცა დევიდ კროსმა 54-ე წუთზე სეზონში თავისი 28-ე ბურთი გაიტანა, გაუტეხელმა „დინამომ“ სულ რაღაც 60 წამში საპასუხო გოლი გაიტანა. მან გააბათილა ევროპაში გავრცელებული თეორია, თითქოს საბჭოთა კავშირში მხოლოდ სტერეოტიპული თამაში იციან...“

4 მარტი
1981 წელი

## „დეილი ტელეგრაფი“, 6 მარტი

„... თბილისის „დინამომ“ მწარე გაკვეთილი აგემა კიდევ ერთ ინგლისურ გუნდს, ამჯერად — „ვესტ ჰემს“. 1979 წელს დინამოელებმა ევროპული ტურნირიდან გამოთიშეს „ლივერპული“. „ვესტ ჰემს“ აკლდა ტოტალური მომზადება, რაც უხვად ჰქონდათ მომადლებული ქართველებს.

რამდენიმე წლის წინათ დიდმა იუგოსლაველმა მწვრთნელმა მილან მილანიჩმა მითხრა: შესაძლებელია გყავდეს ორი ისეთი ფეხბურთელი, რომლებიც იმდენს გააკეთებენ, რამდენსაც მხოლოდ 4-5 ფეხბურთელი შეძლებს.

„ეპტონ პარკში“ ყიფიანი და ჩივაძე თითქოს ამ საქმეთ გზას დაადგნენ. ისინი თეორიულად განსხვავებული პოზიციებიდან ახორციელებდნენ განსაცვიფრებელ კომბინაციებს, რამაც „ვესტ ჰემი“ კალაპოტიდან ამოაგდო...“

## „დეილი მეილი“, 5 მარტი

„... ამ დამარცხებაში „ვესტ ჰემს“ ვერ დაადანაშაულებ. თბილისელებს, რომლებმაც 1979 წელს „ლივერპული“ დაამარცხეს, ჰყავთ ისეთი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი, როგორიც ალექსანდრე ჩივაძეა. იგი ბურთს ისე ფლობს და ათამაშებს, როგორც ბეკენბაუერის კლასს შეეფერება, ანდა ტანმაღალი ნახევარმცველი დავით ყიფიანი, რომლის გამოცდილებამ დაჩრდილა ტრევორ ბრუკინგი.

საბრალო ფილი პარკსი. მას ისღა დარჩენოდა, რომ ბურთი გამოეტანა ხოლმე კარიდან...“




## ინგლისელ მაყურებელს თბილისის „დინამოს“ შესახებ

„ვესტ ჰემისა“ და თბილისის „დინამოს“ ლონდონის მატჩის წინ გამოსულ პროგრამაში ინგლისელმა ფეხბურთის მოყვარულებმა ვრცელი ინფორმაცია მიიღეს ქართველ ფეხბურთელებზე. პროგრამაში მოცემულია საინტერესო ექსკურსი გუნდის დაარსებიდან (1925 წლიდან) ჩვენს დღეებამდე.

პროგრამა მოგვითხრობს თბილისელთა გამოსვლებზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში, ევროპის საკლუბო ტურნირებში, საბჭოთა კავშირის თასზე. ცალკე რუბრიკა დაეთმო გუნდის ლეგენდარულ ფეხბურთელებს: მიხეილ მესხს, სლავა მეტრეველს, მურთაზ ხურცილავას, რევაზ ძოძუაშვილს, კახი ასათიანს და სხვებს. სათაურით — „წლის საუკეთესო ფეხბურთელი“ — საინტერესო წერილია დაბეჭდილი ალექსანდრე ჩივაძეზე, ხოლო სავიზიტო ბარათი წარმოგვიდგენს თბილისის „დინამოს“ ახლანდელი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებს. პროგრამაში დაბეჭდილია ყიფიანის, შენგელიას, გაბელიასა და ხინჩაგაშვილის ფოტოები, არის აგრეთვე გუნდის ხელმძღვანელთა ფოტო, რომელიც იუგოსლავიაშია გადაღებული „დინამოს“ ამასწინანდელი ტურნეს დროს.

| «ДИНАМО» ТБИЛИСИ | | «ВЕСТ ХЭМ» ЛОНДОН |
|---|---|---|
| ОТАР ГАБЕЛИЯ | 1 | ФИЛ ПАРКС |
| ТАМАЗ КОСТАВА | 2 | РЕИ СТЮАРТ |
| АЛЕКСАНДР ЧИВАДЗЕ | 3 | ФРЕНК ЛАМПАРД |
| ШОТА ХИНЧАГАШВИЛИ | 4 | БИЛЛИ БОНДС |
| НОДАР ХИЗАНИШВИЛИ | 5 | ЕЛВИН МАРТИН |
| ДАВИД МУДЖИРИ | 6 | АЛАН ДЕВОНШАЙР |
| ГЕОРГИЙ ЧИЛАЯ | 7 | ДЖИММ НЕЙБУРГ |
| ТЕНГИЗ СУЛАКВЕЛИДЗЕ | 8 | ПОЛ ГУДДАРД |
| ДАВИД КИПИАНИ | 9 | ДЕВИД КРОСС |
| ВЛАДИМИР ГУЦАЕВ | 10 | ТРЕВОР БРУКИНГ |
| РАМАЗ ШЕНГЕЛИЯ | 11 | ДЖЕОФ ПАЙК |
| ЗАУР СВАНАДЗЕ | 12 | ПОЛ АЛЛЕН |
| ВИТАЛИЙ ДАРАСЕЛИЯ | 13 | БОББИ БАРНС |
| ВАЖА ЖВАНИЯ | 14 | ПОЛ БРУШ |
| ГИЯ ТАВАДЗЕ | 15 | НИККИ МОРГАН |
| ГИЯ ИМНАДЗЕ | 16 | БОББИ ФЕРГЮСОН |

СУДЕЙСКАЯ БРИГАДА: ЭШВАЙЛЕР, ВАЛЬТЕР, ТАНДЖЕР (ВСЕ — ФРГ).

ПРЕДСТАВИТЕЛЬ УЭФА — АДАМ (ИТАЛИЯ).

# ОБЛАДАТЕЛИ КУБКА КУБКОВ

1. 1960—1961 гг. — «Фиорентина» Флоренция (Италия)
2. 1961—1962 гг. — «Атлетико» Мадрид (Испания)
3. 1962—1963 гг. — «Тотенхэм Хотспур» Лондон (Англия)
4. 1963—1964 гг. — «Спортинг» Лиссабон (Португалия)
5. 1964—1965 гг. — «Вест Хэм» Лондон (Англия)
6. 1965—1966 гг. — «Боруссия» Дортмунд (ФРГ)
7. 1966—1967 гг. — «Байерн» Мюнхен (ФРГ)
8. 1967—1968 гг. — «Милан» (Италия)
9. 1968—1969 гг. — «Слован» Братислава (Чехословакия)
10. 1969—1970 гг. — «Манчестер Сити» (Англия)
11. 1970—1971 гг. — «Челси» Лондон (Англия)
12. 1971—1972 гг. — «Глазго Рейнджерс» (Шотландия)
13. 1972—1973 гг. — «Милан» (Италия)
14. 1973—1974 гг. — «Магдебург» (ГДР)
15. 1974—1975 гг. — «Динамо» Киев (СССР)
16. 1975—1976 гг. — «Андерлехт» Брюссель (Бельгия)
17. 1976—1977 гг. — «Гамбургер Шпортферайн» (ФРГ)
18. 1977—1978 гг. — «Андерлехт» Брюссель (Бельгия)
19. 1978—1979 гг. — «Барселона» (Испания)
20. 1979—1980 гг. — «Валенсия» (Испания).

# თბილისის „დინამო" და ინგლისის კლუბები

თბილისის „დინამოს" საინტერესო ისტორია აქვს ინგლისის საფეხბურთო კლუბებთან შეხვედრისა, და ეს თავისებური საფეხბურთო დიალოგი პროფესიულ კლუბ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან" შეხვედრით დაიწყო 1957 წელს. დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე მოსულ ბევრ გულშემატკივარს, ალბათ, კარგად ახსოვს ეს მატჩი, მისი ბატალიები, დაძაბულ, საინტერესო ორთაბრძოლაში გატარებული 90 წუთი. „ვესტ ბრომვიჩის" ფეხბურთელებმა მაშინ თბილისში მართლაც უზადო, ლამაზი თამაში აჩვენეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს — სამი მშრალი ბურთი გაიტანეს თბილისელთა კარში. დინამოელთა არაერთი შეტევა და გარღვევა ინგლისელთა საჯარიმო მოედანზე კი უშედეგოდ დასრულდა. ფეხბურთის მოყვარულებს სამუდამოდ დაამახსოვრდათ კევანის, ალენის, რობსონის, ხეტერის და სხვათა თამაში. ეს მართლაც შესანიშნავი საფეხბურთო სპექტაკლი გახლდათ.

სამი წლის შემდეგ თბილისელმა მაყურებელმა კვლავ იხილა ინგლისელი ფეხბურთელები — ამჯერად „შეფილდ უენსდეი". ეს დაძაბული ორთაბრძოლა, რომელიც 1960 წლის მაისში გაიმართა, თბილისელთა გამარჯვებით დასრულდა — 1:0.

იმავე წლის გვიან შემოდგომით თბილისის „დინამოელებს" ტურნე ჰქონდათ ინგლისში. ეს მათი პირველი სტუმრობა იყო დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე. დინამოელებმა სამი მატჩი გამართეს საქვეყნოდ ცნობილ ინგლისურ კლუბებთან — „შეფილდ უენსდეისთან", „ვულვერჰემპტონ უონდერერსთან" და „ტოტენჰემ ჰოტსპურთან". ეს ტურნე თბილისელთათვის წარუმატებელი გამოდგა — ერთი ფრე, ორი წაგება, ბურთების საერთო შეფარდება 7:15; მაგრამ უკვე ერთი წლის შემდეგ თავისებური რევანში შედგა თბილისის „დინამოს" სტადიონზე, როდესაც დინამოელებმა ლამაზ სტილში დაამარცხეს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი და უძველესი კლუბი ბირმინგემის „ასტონ ვილა". (ეს კლუბი დაარსდა 1874 წელს). ბირმინგემის გუნდი ინგლისის მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელია, იგი თბილისის „დინამოელებთან" დამარცხდა ანგარიშით 0:2.

მას შემდეგ თბილისის „დინამოელებს" არაერთი შეხვედრა ჰქონდათ ინგლისის კლუბებთან. სულ ჩატარებულია 12 შეხვედრა, აქედან თბილისის „დინამომ" მოიგო 4, ფრედ დაამთავრა 2 და წააგო 6 შეხვედრა, ბურთების საერთო შეფარდებაა 28:20 ინგლისის კლუბების სასარგებლოდ. გთავაზობთ ამ შეხვედრის ცხრილს:

## „დინამო" თბილისი და ინგლისური კლუბები

**1957 წ.**

**თბილისი.** „დინამო" თბილისი — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" ვესტ ბრომვიჩი 0:3.

**1960 წ.**

**თბილისი.** „დინამო" თბილისი — „შეფილდ უენსდეი" შეფილდი 1:0.

**1960 წ.**

**შეფილდი.** „შეფილდ უენსდეი" შეფილდი — „დინამო" თბ. 5:0.
**ვულვერჰემპტონი.** „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" დინამო" თბ. 5:5.
**ლონდონი.** „ტოტენჰემ ჰოტსპური" — „დინამო" თბ. 5:2.

**1961 წ.**

**თბილისი.** „დინამო" თბილისი — „ასტონ ვილა" ბირმინგემი 2:0.

**1973 წ.**

**თბილისი.** „დინამო" თბილისი — „ტოტენჰემ ჰოტსპური" ლონდონი 1:1.
**ლონდონი.** „ტოტენჰემ ჰოტსპური" — „დინამო" თბ. 5:1.

**1977 წ.**

**ალიკანტე (ესპანეთი).** „დინამო" თბილისი — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" 0:1.

**1979 წ.**

**ლივერპული.** „ლივერპული" — „დინამო" თბ. 2:1.
**თბილისი.** „დინამო" თბილისი — „ლივერპული" 3:0.

**1981 წ.**

**ლონდონი.** „ვესტ ჰემი" ლონდონი — „დინამო" თბ. 1:4.

ფეხბურთის გულშემატკივრებს უკანასკნელი წლების შეხვედრებიდან, ალბათ, განსაკუთრებით დაამახსოვრდათ მატჩების სერია საქვეყნოდ ცნობილ „ლივერპულთან" (1979 წელი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება). პირველი მატჩი ინგლისში „ლივერპულის" გამარჯვებით დასრულდა — 2:1, თბილისში კი დინამოელებმა ბრწყინვალედ წარმართეს თამაში და დამაჯერებელი რევანშიც აიღეს — 3:0. ამ გვერდზე მოთავსებულ ფოტოსურათებზეც სწორედ თბილისში გამართული მატჩის რამდენიმე მომენტია აღბეჭდილი.





